

ახალგაზრდობა იმარჯვებს

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 20 მაისი.

“დინამო” (თბილისი) – “ფახთაქორი” (ტაშკენტი) – 4:0 (3:0).

“დინამო”: სტეფანია, კანთელაძე, რეხვიაშვილი (ჩიტაური), ჭელიძე (ქორიძე), ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, ილიაძე, მაჩაიძე, ბურჯანაძე, გავაშელი, ლ. ნოდია.

“ფახთაქორი”: ლიუბარცევი, დოცენკო, შტერნი, ტურგუნოვი, პეტეხოვი, ინოიატოვი (იაკუბოვი), ვარიუხინი, იუნუსოვი, მელქუმოვი (ლობოდა), ციბინი, იბრაჰიმოვი.

მსაჯი: ბ. სოლოვიოვი (მოსკოვი).

დუბლიორები – 3:1 “დინამოს” სასარგებლოდ. დინემოელთაგან გოლები გაიტანეს ამირანაშვილმა, ქორიძემ (11-მეტრიანი) და წერეთელმა, ტაშკენტელთაგან – ფილცევმა.

შეიძლება, ზოგიერთმა ფეხბურთის მოყვარულმა ეს მატჩი მეორეხარისხოვნად ჩათვალოს და ამიტომ არ მოვიდა სტადიონზე. თბილისელებს აკლდათ ნაკრების 5 მოთამაშე და მეექვსეც – დაშავებული კუტივაძე, ტაშკენტის გუნდი – გათამაშების ერთ-ერთი აუტსაიდერია და “წვეთობით” აგროვებს ქულებს. რა უნდა იყოს ასეთ მატჩში საინტერესო?

მაგრამ ვინც ასე ფიქრობდა – შეცდა. შეცდა და დააკლდა საინტერესო ბრძოლით აღსავსე, სანახაობრივი მხრივ მდიდარ თამაშს, რომელიც თბილისის “დინამოს” ახალგაზრდა ფეხბურთელებმა გამართეს. მათ ხსნის არავითარი შანსი არ დაუტოვეს “ფახთაქორს”, ამ გუნდს კი “განახვერებულ” მეტოქესთან შეხვედრაში უდავოდ დაგეგმილი ჰქონდა ქულის მოპოვება. ისე, როგორც კიევში.

მთავარი ამბები დასაწყისში მოხდა. მე-4 წუთზე ნოდია სწრაფად გაიჭრა თავის ფლანგზე და კარის გასწვრივ გაგზავნა ბურთი, სადაც სტუმრების ორი მცველი “ნეიტრალურ” მოწმედ დაესწრო გავაშელის ზუსტ თავურ დარტყმას – 1:0.

გავიდა 2 წუთი და ლიუბარცევს მეორე ბურთის გამოტანა მოუხდა ბადიდან. ეს იყო მისი ყოვლად მიუტევებელი, ელემენტარული შეცდომის შედეგი. კუთხურიდან გათამაშებული ბურთი კარიდან საკმაოდ მოშორებით, დაახლოებით ოციოდე მეტრზე მოუვიდა ილიაძის. ნახევარმცველმა დაარტყა კარში, ლიუბარცევმა მიიღო ბურთი და... გაუშვა.

მე-12 წუთზე “ფახთაქორის” კართან კუთხური იქნა მოწოდებული. მცველებმა ბურთის მოგერიება ვერ შეძლეს, პეტრიაშვილი გავიდა მათ შორის, გადააწოდა მარცხნივ და ბურჯანაძემ მესამე გოლით დაამთავრა ეს შეტევა.

ასეთი ანგარიში მატჩის დასაწყისში მოთავებულ საქმეს ნიშნავს. ეს სტუმრებმაც კარგად იგრძნეს, მაგრამ მათ სასახლოდ უნდა ითქვას, ამ უიმედო მდგომარეობაშიც კი არ შეუწყვეტიათ ბრძოლა. სტეფანიას რამდენიმეჯერ მოუხდა საკმაოდ ძნელი ბურთის აღება.

შესვენების შემდეგ დინამოელები ერთხანს რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ. ჯერ ერთი, ტრავმების გამო მწყობრიდან გამოვიდა ორივე სტოპერი – რეხვიაშვილიც და ჭელიძეც. მერე თავდამსხმელები 15-20 წუთით გამოეთიშნენ ბრძოლას და თამაშის მთელი სიმძიმე დააწვა შუა და უკანა ხაზების მოთამაშეებს, რომლებიც თავს არ იზოგავდნენ ხიფათის ასაცილებლად.

შემდგომში ნოდია, გავაშელი, ბურჯანაძე ისევ აქტიურად ჩაებნენ თამაშში და ბურთმაც მაშინვე “ფახთაქორის” მხარეს გადაინაცვლა. 82-ე წუთზე ტაშკენტელთა მხარეს დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. ილიადიმ ისე ოსტატურად “მოახვევინა” ბურთს, რომ ლიუბარცევმა იგი მხოლოდ ბადეში დაინახა.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 23 მაისი, 1970 წ.